# დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია
# CITY HALL OF DUSHETI MUNICIPALITY

KA990138885001020

№ 695/ს

10 / აპრილი / 2020 წ.

## დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### დუშეთის მუნიციპალიტეტსა და ი/მ გოჩა ჭინჭარაული“ - ს შორის 2019 წლის16ოქტომბერს N458 დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეუსრულებელი ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის გამო შეწყვეტის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტსა და ი/მ გოჩა ჭინჭარაული"-ს შორის 2019 წლის 16 ოქტომბერს N458 გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული იყო: 2019 წლის ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში" ბარისახოს ადმინისტრაციულ ერთეუში, სოფელ ჭორმეშავში მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები. ი/მ ,,გოჩა ჭინჭარაულს" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეუსრულებია. 2019 წლის 16 ოქტომბრის N458 ხელშეკრულების მე-13 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტსა და ი/მ ,,გოჩა ჭინჭარაულს“ შორის 2019 წლის 16 ოქტომბერს დადებული N458 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ჩაითვალოს შეწყვეტილად 2020 წლის 1 თებერვლიდან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის გამო.
2. მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა უზრუნველყოს საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ზურაბ სეხნიაშვილი